ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

120

I Წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 11 მარტი № 1406

...თი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

...მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ..., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო...ბაში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". **ტელეფონი** № 372.

საუკეთესო აბრეშუმის ჭიის თესლი

მოიკითხეთ ქ. ბათუმში, მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში. ფასი ...ომიერია. (15—2)

ქართული თეატრი

კვირას, 11 მარტს

თავ. რაფიელ დავითის ძის ერისთავის სახსოვრად

გამართულ იქნება **სალიტერატურო საღამო**

I

ბიძიასთან გამოხუმრება

კომედია 1 მოქ. რ. ერისთავისა.

...ლეობას მიიღებენ: ქ. მარ. საფაროვისა, ბ ბ. ვ. აბაშიძე, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვ. გუნია და სხ.

II

აკაკი წერეთლის სიტყვა რაფიელზე, წარმოთქმული იქნება თვით აკაკისაგან. მაქ. ფალიაშვილის ხორო შესრულებს **ქართულ სიმღერებს**.

III

დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი

წაკითხული იქნება რაფიელის ლექსები და სცენები.

წაიკითხავენ: ბ.ბ. სოფრონ მგალობლიშვილი, კ. მესხი და კ. ყიფიანი

დასასრულ

ა პ ო თ ე ო ზ ი

...ების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

დრამატიული საზოგადოების გამგეობა. (?—?)

...ლ კიდევ ბ.ბ. ჯაფარიძისა და კვირკველიას საქმის გამო.

...ხველს კარგათ მოეხსენება ამ წერი...თაურში დასახელებული საქმე. ბ. ...ლიამ გამოითხოვა ბ. ჯაფარიძე სა...ში და მოსამართლეთ დაასახელა ...ურ ნაფიც ვექილთა კორპორაცია. ...რიძეც დასთანხმდა თავისის და კვირ...ს ამგვარ განსამართლებას.

...ომ მკითხველმა შეიძლება იკითხოს, ...ჭიროა კიდევ ამ საქმის შესახებ ლა...ან წერა.

მართალია, საქმე ორთავე მონაწილე პირმა მოსამართლეებს გადასცეს გასარჩევად და მინამ მოსამართლენი თავისს განაჩენს არ დაადგენენ, თითქო უნდა მოგვეთმინა, მაგრამ ამ ბოლო დროს ჩვენს გაზეთში დაისტამბა მეტად საინტერესო ამბები, რომელნიც სულ სხვა ფერს სდებენ ბ-ნ კვირკველიას წერილებს და ამიტომ არ შეგვიძლიან სიჩუმით ჩაუაროთ მათ და ერთხელ კიდევ არ დავუბრუნდეთ ამ საქმეს.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც გვაიძულებს ამ საქმის შესახებ ხმის ამოღებას. ბ.ბ. ჯაფარიძისა და კვიკველიას საქმე არ არის კერძოთ მათი პირადი საქმე; ამ საქმეს აქვს საზოგადოებრივი მხარე, ხასიათი და მაშასადამე ინტერესიც; მისს საზოგადოებრივს მხარეს წარმოადგენს ის, რომ მაში, როგორც თითქმის ყველა ქუთათურ საქმეებში, იჩინა თავი ჯერ კიდევ დაუსრულებელმა (და დასრულდება როდისმე, ვინიცის) ბრძოლამ, ბრძოლამ საზოგადო ინტერესების ნამდვილ სამსახურსა და კალისტრატიზმის შორის, ბრძოლამ ქუთათურ ინტელიგენციისა და კალისტრატეს შორის. ზემოხსენებულ საქმეში კალისტრატიზმის წარმომადგენელი—ბ. კვირკველიაა.

მკითხველს კარგათ ეხსომება, რა ბრალს სდებს ბ-ნი კვირკველია ჯაფარიძეს. ჯაფარიძე სცდილობს დამამციროს, როგორც ადამიანი და როგორც ნაფიცი ვექილიო. დასამტკიცებლად ამისა ბ. კვირკველია თავის საჩივრის ქაღალდში ასახელებს უმთავრესად ორ ფაქტს. პირველი, ჯაფარიძემ ჩემ მიერ შეთხზულს ხელშეკრულობას უწოდა ფიქტიურიო, და მეორე, ჯაფარიძემ თავად-აზნაურთა კერძო სხდომაზე აღძრა კითხვა ჩემის თავად-აზნაურობიდამ გამორიცხვის შესახებო.

რონ...-გაზეთშია(?) და ...ში ... მაოდ დაიწერა იმის შესახებ, რომ რაც შეეხება პირველ ბრალდებას, ნაადრევია მისი მედიატორებისაგან განხილვა, ხოლო ბრალდების მეორე მუხლის გარჩევა უფრო თავად-აზნაურთა კრების საგანს შეადგენსო, ვიდრე ვინმე სხვისას.

ჩვენ მაინც ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით ბ-ნს კვირკველიასა ბრალმდებლოოქმს. დავუბრუნდებით მიტომ, რომ ხელთ გვაქვს ზოგიერთი საბუთები, სახელდობრ, ხელშეკრულობა ბ-ნის კვირკველიასი, თუმანოვების და სხ., სასამართლოს გადაწყვეტილება და ჩვენს გაზეთში დასტამბული წერილები. დავიწყოთ პირველის მუხლიდამ. ქუთაისის ოლქის სასამართლომ 8 დეკ. 1900 წ. განიხილა თუმანიშვილების საქმე დ თავის განაჩენში თუმანიშვილების მამულის გაყიდვა ფიქტიურად სცნო. ამ ოლქის განაჩენს ქუთაისის ნაფიც ვექილთა კორპორაცია ვერ დაარღვევს, მისი დარღვევა შეუძლია მხოლოდ სამოსამართლო პალატას.

მაშასადამე ქუთათურ ნაფიცმა ვექილებმა თუმანიშვილების მამულის გაყიდვა ფიქტიურად უნდა მიიჩნიონ ჯერ-ჯერობით და ამის შესახებ სჯაზე უარი უნდა სთქვან.

თუ რამდენად ეხება ეს ფიქტიური გაყიდვა თუმანიშვილების მამულისა ბ-ნს კვირკველიას, სჩანს იმ ხელშეკრულობიდან, რომელიც 9 ივლისს 1898 წ. დაუდვიათ, სხვათა შორის, თუმანიშვილებს და კვირკველიას. ამ ხელშეკრულობის მუხლი II... a).. ამობს: თუმანოვებმა უნდა დაუმტკიცოთ ამ წლის 15 ოქტომბრამდის ჩვენი $^1/_4$ წილი ზემოხსენებულ მამულისა ან თვით კვირკველიას ან ვინმე სხვას, ვისაც უძრავ მამულის სახელმწიფო ბანკში დაგირავების უფლება აქვს; ამ უკანასკნელმა კი კვირკველიას ვექილობა უნდა მისცეს მამულის დასაგირავებლად იმავ დროისთვის (თუ გაყიდვა ნამდვილი იყო, რა ენაღვლებოდათ ნეტა, მის... თუ არა?).... კვირკველიამ თუმანიშვილებს გირავნობის საბუთი უნდა მისცეს ამდენისა და ამდენისა (კი არ „დაუგირავოსო" ამდენში და ამდენში, არამედ „გირავნობის საბუთი უნდა მისცესო"—ნეტა რისთვის?)... ზემოხსენებულიდან მკითხველი დაინახავს, თუ რა დამოკიდებულობა ჰქონდა ბ-ნს კვირკველიას თუმანოვების საქმესთან.

გავიმეორებთ ერთხელ კიდევ, რაც თქმულა ჩვენს გაზეთში:

თუ თუმანიშვილების მამულის გაყიდვა ფიქტიურია (ეს კიდეც აღიარა ოლქის სასამართლომ და ქუთათურ ნაფიც ვექილებს ნება არა აქვთ ამაზე სჯა იქო-

ფელეტონი

*
* *

...რას მიქვია მწუხარება,
...ავალ გლოვა, კვნესა ავზე,
...ეს წინსვლის წმიდა სხივი
...ეს ჰსახავს კაშკაშს ცაზე;

—

...რის გონების ბჭობა, ძალა
...ომას და სულს გვისაღბუნებს,
...ომასა და სიფხიზლეზე
...ეცხლის ხანგს გვიხმატკიცებს;

—

...რის ნაკადი განათლების
...ვდიადს აქრობს, შუქს ამყარებს,
...ას გვიჩვენებს, ლამპარს ანთებს,
...რთ შეგნებით გვანეტარებს;—

—

სულის ძალას გვიძლიერებს,
...ანს ცხოვრების განთიადი,—
...ლა იღწვის, უღელსა ჰსწევს!..
...მ, რად გვინდა კვნესა, დარდი?

—

...მე არა მრწამს კვნესა სულის,
...ვები და მღრღნელი მარად,
...ნგურს ვუწყობ რწმენით სიმებს,
...ღიდინებ მთად და ბარად...

გრ. აბაშიძე.

ი ს ა რ ი
(საკვირაო გაზეთი)

№ 7 კვირა, 11 მარტი 1901

„ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს შვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო."
ი. ჭავჭავაძე.

ადამიანისათვის თვისის მოყვასის ბედნიერებაზე ზრუნვა და ფიქრი უნდა შეადგენდეს ყოველ დღიურს მოვალეობასა. რა ტკბილია ის გრძნობა, როცა შენ სიკეთე დასთესე, ამ სიკეთემ თუნდაც ერთს ტვირთ მძიმეს და დამაშვრალს ოდნავაც არის ჭირის ოფლი მოსწმინდა, მის ჩაგრულს გულს ეწამლა და ემალამოვა, თუმცა ცოტა უშეღავათა, მაგრამ მაინც ხომ სიკეთე მოუტანა! დიაღ, ტკბილია ეს გრძნობა, ტკბილი! დიაღ, გავიმეორებ, სწორედ ჩვენს მოვალეობას შეადგენს სიკეთე მოყვასისადმი, განსაკუთრებით ჩვენს მდგომარეობაში ეს აუცილებელია; სწორედ, პოეტისა არ იყოს,

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო—
აბა დღესა ვის რა ვარგე?"

მაგრამ ხშირად ზრუნვასა და ფიქრსა მოყვასისადმი სარჩულად უდებენ ხოლმე თავისს პირადს ანგარიშსა; მოგვეჩვენებიან ცხვრის ტყავში გამოწყობილნი, ხოლო გული კი მათი ეშმაკს აქვს შებოჭილი და სულსა მაისა ამოძრავებს ბოროტისაკენ. აი, მაგალითისათვის შორს არ წავალთ: „დღის ვარმად" ჩვენს საზოგადოებას გარდაექცა ქართველთ სტუდენტთა დახმარება, რომელნიც სიღარიბისა გამო შორეულს ქვეყანაში იღუპებიან, სნეულდებიან და ვინც ბედად გადაურჩება შემავიწროებელ გარემოებათა ბრჭყალებს, თითქმის ნახევარ კაცად-ღა ბრუნდება სამშობლოში, რათა მან გაუთბოს გაყინული გული, აღუფრთოვანოს კვალად ფიქრი მომავალზე და ელირსოს განახორციელოს მეცნიერებისაგან აღგზნებულნი სურვილნი და მისწრაფებანი სამშობლო ქვეყნის საბედნიეროდ და სადიდებლად. რასაკვირველია, შეწევნა გვმართებს, ჩვენ ღარიბს ქისას ხელს ვუფათურებთ და მიგვაქვს წვლილი ამ წმიდა საგნისათვის, მაგრამ, ვაიქვეყნის დამცირებას, ვაი ჩვენს ზნეობითს დაკნინებასა!! ეს საცოდავი წვლილი ხშირად ჩადის ვიღაც ოხრის ჯიბეში და მის სულის სიმდაბლეს ემსახურება.

— ყმაწვილო, ბილეთები ინებეთ, კეთილი საქმისათვის „ვეჩერნიკა" იმართება ამა და ამ დღესა,—გეუბნევა მწარის ღიმილით მანდილოსანი და თან გაწვდის ბილეთებს.

— ქალბატონო, ნუ შემრისხავთ ამ კითხვისათვის: ვის სასარგებლოდ იმართება ეგ თქვენი „ვეჩერნიკა?"

— უიმე, ბეჩა, განა არ იცით ვისთვისა? სტუდენტებისათვის, ბეჩა, სტუდენტებისათვის ვზრუნავთ; ეს „ვეჩერნიკა" თუმცა ყველა სტუდენტებისათვის არ იმართება, მაგრამ ისეთი სტუდენტისათვის იმართება, უნდა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო, რომ ჩვენს ქვეყანას დაამშვენებს იგი თვისის ნიჭითა. ცოდოა, რომ მას სიღარიბისა გამო მოესპოს გზა ცხოვრებისა და უდროვოდ დამიწდეს მისი ყმაწვილკაცობა.

ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცსა, რომ გაუძლოს მისს მწუხარე სახესა; ამასთან რა ნაირ ხმაროზს თვალ-წამწამსა, რა ნაირ იღიმება, რა ნაირ იჩენს თეთრსა კიჭებსა!! სწორედ დადნები კაცი, და დადნები ორნაირად: მწუხარებით, რომ შენი მოძმე გაჭირვებაშია; ეშხით, ლამაზ თვალების, გიშრის წარბ-წამწამის, ალის-ფერი ტუჩებისა და ბროლ კიჭების ჭვრეტითა. ოჰ, ქალებო, ქალებო! მწველნო და დამდაგველნო!!... რას იზავ? იღებ ქისიდან ფულს და აძლევ სტუდენტის სასარგებლოდ.

— უთუოდ გელით, ყმაწვილო, „ვეჩერნიკაზე", საუცხოვო ამბავს ნახავთ, თქვენმა მზემა: საზანდარი დაუკრავს, ქალები იმღერებენ; ბუფეტიც გვექნება, ისიც, რასაკვირველია, სასარგებლოდ სტუდენტისა; შიგ ლამაზ-ლამაზი ქალნი იდგებიან და თაიგულებსავით შეამკობენ ბუფეტს... ერ-

ნიონ) და თუ ეს გაყიდვა ბ. კვირკველიას შემწეობით მოხდა, ბ. კვირკველია განსამართლებულ ~ ნდა იყოს ადვოკატურ ეთიკის პრინციპის დარღვევისთვის; ამაზე სჯა არა თუ შეუძლიანთ ქუთათურ ნაფიც ვექილებს, არამედ ვალდებულნიც არიან...

გადავიდეთ ბ. კვირკველიას საბრალდებლო ოქმის მეორე მუხლზე.

კვირკველია აბრალებს ჯაფარიძეს, რომ უკანასკნელმა მისი, კვირკველიასი, თავად-აზნაურობიდან გაძევება მოინდომა. ამ ბრალდების დასამტკიცებლად ბ-ს კვირკველიას მოჰყავს წერილი, რომელიც მისთვის თ. დ. ო. ნიჟარაძეს მიუწერია. ჩვენ ნება არ გვქონდა არ დაგვეჯერა ამგვარ საბუთისათვის და გვჯეროდა იგი... 27 და 28 თებერვლამდის, როდესაც სულ სხვა წავიკითხეთ გაზეთებში. წარსულს 27 თებერვალს გაზ. “ნოვ. ობზრ.“ში დასტამბული იყო წერილი ბ. ს. თ. ხუნდაძისა. ეს უკანასკნელი სწერს:

> თავ. ნიჟარაძე, როგორც სჩანს მის წერილიდან, ბ. კვირკველიას გამორიცხვის შესახებ კითხვის აღძვრას აკუთვნის სხვებს (მათ შორის ბ. ჯაფარიძეს), თვით-კი არა-თუ არ სთვლის თავის თავს მონაწილედ, არამედ გვარწმუნებს კიდეც, რომ მან ვითომც ნება არ მისცა ამ კითხვის აღძვრისა. მაშინ, როდესაც კარგად ვიცით, რომ თ. ნიჟარაძეს ყველაზე უფრო სურდა ნაფ. ვექ. კვირკველიას გამორიცხვა და ტყვილა ივიწყებს მეტად თვალსაჩინო და საყურადღებო ფაქტს, რომლის დავიწყება ყოვლად შეუძლებელია. ასე, ორის კვირის წინად კრების დაწყებამდე თ. ნიჟარაძემ მიიწვია თავისს სახლში რამდენიმე წევრი თავად-აზნაურთა კრებისა იმ საგნების განსახილველად, რომელნიც მომავალ კრებაზე უნდა განეხილად. ამ კრებას დაესწრნენ: თ. ს. გ. წერეთელი, თ. მ. გ. ლორთქიფანიძე, თ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, დ. არ. ლორთქიფანიძე, დ. ნ. ბაქრაძე, თ. ს. გ. წულუკიძე ს. დ. ჯაფარიძე და ამ სტრიქონების დამწერი. *) როცა საზოგადო საგნებზე მსჯელობა გათავდა და ბ. დ. ბაქრაძე და დ. ლორთქიფანიძე წავიდნენ, თ. ნიჟარაძემ დანარჩენთ შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „მე მგონია, რომ კრებაზე უნდა აღვძრათ საქმე კრებიდან დ. ბ. კვირკველია, რომ ჩემის (ქუთაისის) მაზრიდან დიდი უმეტესობა კვირკველიას წინააღმდეგი იქნება, და რამდენადაც ვიცი, ყველა მაზრებში უმეტესობა ამომრჩეველთა მისი წინააღმდეგია. მე, როგორც თავმჯდომარე, ვერ აღვძრავ ამ საგანს, მაგრამ აღძვრის შემდეგ ყუთს დაუდგამ და იმედი მაქვს კრებაზე შევასრულოთ ეს საქმე“ **).

*) ჩვენ გვაკვირვებს ამ კრებაზე დამსწრეთ სიფრთხილე. გვაკვირვებს, რომ მხოლოდ ერთმა გაბედა გამომჟღავნება იმისი, რაც იმ კრებაზე მოხდა.

ავტორი.

**) ამასთანავე თ. ნიჟარაძემ მიიტანა IX ტ. კ. კრ. და დამსწრეებს გააცნო ის მუხლები, რომლებშიაც განხილულია ბიწერის წევრის თ. აზნაურთა კრებიდან განდევნის საქმე. (ბ. ხუნდ. შენიშვნა).

28 თებერვალს გაზ. „ცნ. ფურც.“ დაისტამბა 16 კაცისაგან ხელ-მოწერილი წერილი, რომელშიაც ისინი ამბობენ, რომ, ხუთი კაცი კი არა, ისინი, თექვსმეტნი, იყვნენ კვირკველიას თავად-აზნაურობიდან გაძევების მსურველნი.

როდესაც ჩვენ ეს წერილები წავიკითხეთ, უნდა გამოვტყდეთ, ამათ, ამ 16 კაცს, უფრო დავუჯერეთ, ვიდრე თავ. დ. ო. ნიჟარაძეს, რომელმაც არც კი მოინდომა ამ წერილებზე პასუხის გაცემა *).

გვაგონდება, თუმცა არა ისე გარკვევით, რომ თ. დ. ნიჟარაძეს და თავად-აზნაურობის კრებას რაღაც უთანხმოება მოუვიდათ იმავ თ. დ. ნიჟარაძის არჩევანის შესახებ, და ზემომოყვანილ წერილების ავტორების ნდობა უფრო მტკიცდება ჩვენში.

ეხლა წარმოვიდგინოთ, მკითხველო, რომ მართლა და ძალიან მონდომებული იყო ბ ჯაფარიძე, კვირკველია გაეძევებინა თავად-აზნაურობიდან, რომ ამ აზრის პირველი გამომთქმელი ჯაფარიძე იყო. მერე და რაო? ნუ თუ ჯაფარიძეს ნება არ აქვს რა აზრიც უნდა, ისეთი აზრი იქონიოს კვირკველიაზე? ნუ თუ ვისმე შეუძლია დაუშალოს მას, თუ კანონი ნებას აძლევს, აღძრას კითხვა თავად-აზნაურობის კრების რომელიმე წევრის გაძევებაზე? ან თუ ჰგონია კვირკველიას, რომ ჯაფარიძისათვის ის რაღაც წითელ კვერცხს უნდა წარმოადგენდეს? ჯერ ხომ არ უთქვამს ჯაფარიძეს, მე მსურს, რომ კვირკველია განვდევნოთ ამა და ამ მოსაზრების გამო. ეს რომ ეთქვა კიდეც, საჭირო იყო, რომ კრებას ყველა ჯაფარიძის მოსაზრება უარ ეყო, საჭირო იყო მისი განცხადება უპატიოსნოდ მიეჩნია და მაშინ, მხოლოდ მაშინ შეეძლო კვირკველიას სამართალისათვის მიემართნა.

ჯაფარიძეს კი სათავად-აზნაურო კრებაში არაფერი განცხადება არ შეუტანია, მით უფრო არაფერი საბუთი და მოსაზრება არ წარმოუდგენია და. აბა რა თქმა უნდა, იმას, რაც ბ. ჯაფარიძეს კრებისათვის არ წარუდგენია და არ დაუსაბუთებია, კრება უპატიოსნოდ ვერ იცნობდა.

ჯაფარიძეს მხოლოდ სურდა (ეს სურვილიც, როგორც ზემოდ ვსთქვით, მხოლოდ წარმოვიდგინეთ) და ბ-ნი კვირკველია კი სასამართლოსკენ მიექაჩება ბ ჯაფარიძეს. ბ ნმა კვირკველიამ კარგად უნდა იცოდეს, რომ სურვილი და განზრახვა, რომელიც განხორციელებული არ ყოფილა, ვერ შეადგენს სასამართლოს საგანს.

*) „ნოვ. ობზრ.“-ეს გუშინდელ ნომერში დასტამბულია პასუხი თავ. დ. ო. ნიჟარაძისა, ხოლო ეს წერილი უკვე დაწერილი და აწყობილი იყო.

რედ.

ჩვენ კი, ჩვენის მხრით, ვიცით და ვხედავთ, რომ ქუთათურ მოღვაწეთ სრულებით არევიათ როლები იმ ტრაგი-კომედიაში, რომელსაც „საზოგადო საქმე“ ჰქვიან: დამნაშავენი ბრალმდებლის ტოგით დასეირნობენ და ბრამდებლებისათვის კი დამნაშავის მაზარა მოუხურავთ. ასეთია შედეგი იმ საზოგადოებრივ წეს წყობილების, რომელიც ბ.ბ. კალისტრატე-ლოლუა-კვირკველიას დაუმკვიდრებიათ იქ და რომელსაც ნამდვილ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან არა აქვსრა საერთო. გატაცებულნი თავიანთ პირად საქმეების მოწეს-რიგებით და მოწყობით, ისინი აღელვებენ საზოგადოებას, აღვიძებენ ქუთათურ მცხოვრებლებში დაბალ ინსტინკტებს, აშფოთებენ ხალხს და არა სასურველ სურვილთა აღელვებულ მორევში უნდათ ჩაღუპონ ყოველივე კარგი აზრი და განზრახვა,—ის კი ავიწყდებათ, რომ ცხოვრების თვალ-მიუწდომელ ზღვაში ცალკე პიროვნების საბრალო ნავი უფრო ადვილად შთაინთქება და დასძირავს, ვიდრე ის დიდი ხომალდი, რომელსაც საზოგადოებას უწოდებენ.

ივ. ზ—შვილი

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 მარტი.

ტიანძინი. ბრიტანიის ზღვაოსნები და რუსეთის ჯარი ისევ სდგანან ერთმანეთის პირდაპირ საცილობელ ტერიტორიაზე. საფრანგეთის ოფიცრებმა განაცხადეს, რომ ჰსურთ მოსპონ ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება. გენერალ უარონი დღეს წავიდა ტიანძინში და დაჰნიშნავს, ალბათ, გამოძიებას, რომელსაც თხოულობს გენერალი ბარროუ ინგლისის ოფიცრების ხელით შეურაცხყოფის გამო.

პეკინი. იმ თათბირზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ვალდერზეემ, გენერლებმა ბარროუმ და ბოგაკმა დაადგინეს გაიყვანონ ინგლისის და რუსეთის ჯარები 8 მარტს, დილის 5 საათზე, საცილობელ ტერიტორიიდან ტიანძინთან და შეაჩერონ რკინის გზის გაყვანა, სანამ საცილობელი საკითხი დიპლომატიურის საშუალებით გადასწყდება.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ლანსდოუნი აცხადებს, რომ რუსეთისა და ინგლისის მთავრობები შეთანხმდნენ გაიყვანონ თავიანთი ჯარები საცილობელ ტერიტორიიდან, ხოლო ყველა საკითხი რიტორიის შესახებ გადაცემულ-განსალად ამ [illegible] ...

ლონდონი. ლორდთა პალატა. [illegible] რი ეკითხება ლანსდოუნს—შეუძლიან არა მას რაიმე ცნობა მისცეს პალატ ანძინში მომხდარ უთანხმოების „სიხარულით შემიძლიან ვაცნობ ტას,—სთქვა ლანსდოუნმა,—რომ დილით, მივიღეთ ჩვენი ელჩისაგან ბურგში შემდეგი: გრაფმა ლამსდ სთხოვა ელჩს დაუყოვნებლივ წინ მისცეს ინგლისის მთავრობას, რომ საცილობელ ტერიტორიის შესახებ გ განსახილველად ორივე მთავრობას და საქმე გადასწყდებოდეს, შესაძლებელ კებათა ასაცილებლად, ორივე სახ ფოს ჯარები უნდა გაიყვანონ საცილ ტერიტორიიდან. გრაფმა ლამსდორ დაუმატა, რომ რუსეთის სამხედრო მ რი დეპეშით მისწერს შესაფერ და რუსეთის ჯარის სარდალს, თუ ინ მთავრობა თანახმა იქნება ხსენებულ დადებისა. ბოლოს მინისტრმა ლამს გამოთქვა სურვილი მოერიდოს გვარ უთანხმოებას (მოწონება). ჩვ ნაგრძო ლანსდოუნმა,—დეპეშითვე ვაცხადეთ თანხმობა ლამსდორფის დებაზე, მით უმეტეს, რომ წინდაწინ ვე აზრის ვიყავით. ჩვენც შეუ ჩვენის ჯარების სარდლებს წ ჯარები და მით აიცდინონ შ იმედი მაქვს, ჩემი ცნობებიდან დაინახავს, რომ უთანხმოება მოსპ და რომ იგი შეეხებოდა მცირე რომელსაც მხოლოდ ადგილობრივ ნელობა ჰქონდა და რომელსაც არ შ წაეხდინა ორივე სახემწიფოს კარგი ბილება (მოწონება)“.

ტიანძინი. მდგომარეობა უცვ რჩება. ინგლისიც და რუსეთიც ერ საქმის გამწვავებას. ინგლისის მთ განკარგულებაში აქ 1000-მდე ჯარის რუსეთის ჯარიც მცირეა.

შანჰაი. სარწმუნო წყაროებიდან ბინებიან, რომ ჩინეთის იმპერატორის განზრახვა აქვს აპრილის შუა რიც წავიდეს ხუბეს პროვინციის ქალ. სი სადაც დარჩება იმ დრომდე, სანამ დან მოკავშირეთა ჯარები წავლენ. დაწყვეტილებას აქ სთვლიან პროტ იმისა, რომ ევროპიელები ამგრ ვიანთ საელჩოებს.

თის სიტყვით დასტკბებით, ყმაწვილო, დასტკბებით, და სასიამოვნოც იქნება და მასთან სასარგებლოც.

— ვნახოთ, ვნახოთ, ვუთხარი მე, სრულიად მოხიბლულმა; მან თვალები პლუტურად ჩამიპრუწა და თავაზიანათ გამომეთხოვა.

აგერ არ გადმიდგავს სულ ორი ნაბიჯი, წინ გამომეჯგიმა ტურფა ასული, მისი დალალ-კავები სწორედ ჰაერში მიჰფრინავდნენ, თითქო სცეკვავდნენ და ყველას ეარშიყებოდნენ. მის დანახვაზე მთლად სიამოვნებად გადვიქეცი. „ვიშ, კავები, წყეულები, ტაშსა ჰყვებიან! როგორ ცელქობენ, არშიყობენ, ეკონებიან!“ დავიმღერე გუნებაში.

— უჰ, რა ბედზე შეგხვდი, მომაძახა მხიარულად დალალ-კავებიანმა და საწვიმარი მკრა გულში. ისეთი კეთილი და სამადლო საქმისათვის ვმართავ, ყმაწვილო, „ვეჩერინკას“, თქვენმა მზემა, რომ უსათუოდ უნდა დაესწროთ კიდეცა და ბილეთებიც იყიდოთ.

— უკაცრავად, ვიყიდე, ვიყიდე!

— აი კოთხუნჯისაგან! არა, ის სტუდენტისათვის მართავს, მე კი ძალიან ღარიბი ოჯახისათვის; ჩემს „ვეჩერინკაში“ ყველა წოდების ხალხს ექნება ნება შესვლისა; იქ კი არისტოკრატია, ბურჟუა და „კვალისაგან“ მოძულებული ინტელიგენცია იქნება.

— ეა, თქვენ „დასელი“ ბრძანდებით?

— რატომაც არა!.. მე შენისთანებს წავართმევ ფულსა და ღარიბებს მივცემ... მაგრამ თავს არ შეგაწყენთ ბევრის ლაპარაკითა. აიღებთ თუ არა ბილეთებსა?

— ქალებს უარს არ ვეუბნები, მიბოძეთ.

გახლდით ორთავე „ვეჩერინკაზე“. ხალხი ბლომად, დიდი გართობა, ღრიალ-ხრიალი, ორომტრიალი, ქაღალდის თამაში!! მერე? მერე და მერე: ფულები წავიდა „ვეჩერინკების“ გამმართვის ჯიბებში და იძათ, ვისიც სახელზე იყო ეს „ვეჩერინკა“, ერგოთ მარტო ოდენ ნახორხალი, ნასუფრალი. აი ამას ჰქვიან კეთილი საქმე, ჩვენის მანდილოსნებისაგან ახლად გამოგონილი! მე მოგახსენენთ იმ ჯურის მანდილოსნებზე, რომელნიც წინა წერილში დავასურათეთ და ამიტომ, მანდილოსნებო, სულ ყველა გაწყრომას ნუ ინებებთ.

—

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ „მოვეჩერინკე“ მანდილოსნებზე შორს არც ჩვენი უცნაური „კვალია“ წასული; იმათ ცხვრის ტყავი მაინც აქვთ წამოკუხული, ამათ კი პირდაპირ მგლის ტყავი წამოუხურავთ და აღარავის აღარ ზოგავენ. ერთი ჯალათის წითელი ტანისამოსი-ღა აკლიათ და ხელში რა უნდა ჩემთან ამ ხალხსა, განსაკუთრებით ინტელიგენციას, მას რა ზნეობა შეაქვს ხალხში..

ნაჯახი, რომ თავები დააყრევინონ მთელს საქართველოს „ინტელიგენციას“. ინტელიგენტი, განათლებული კაცი უნდა განიდევნოს ყველა ადგილებიდან, უნდა ჩამოერთვას მას მეთაურობა ყველა საქმეებისაო, უნდა მოშორდეს იგი ხალხსაო. გაიხარეთ მშობელნო, რომელნიც წელებზე ფეხს იდგამთ და შვილებს განათლებას აძლევთ,—ნულარ შესწუხდებით მათის განათლებითა, ასწავლეთ მხოლოდ წერა-კითხვა და დანარჩენს „კვალი“ შესძენს, თვისგან გათელილს გზაზე დააყენებს. მისი „ინტელიგენტი ცხვირი“ ისეთის ყნოსვის პატრონია, ისეთი თვალთმაქცია, რომ უსწავლელადაც აცხოვრებს ხალხსა. გადარეულა „კვალი“! ვინც დღეს სახალხო საქმეებს ჰმართავენ და რომლებიც წინადაც ჰმართავდნენ, ვიდრე დაიბადებოდნენ ახალნი „ბაწაწკნი ლიტერატურისა“, უნდა გამოიდევნონო! ვინ უნდა დაუდგეს, მათის აზრით, სათავეში სახალხო საქმეებსა? რასაკვირველია, „კვალისტები“. მერე იცნობენ იგინი ხალხსა? შეუსწავლიათ მისი ცხოვრება, უწერიათ კი რამე ჩვენი ხალხის ცხოვრებაზე? იცნობს იმათ ჩვენი ხალხი? დაუმსახურებიათ რითიმე ამ ხალხის ნდობა, სიყვარული, პატივისცემა? არაფრით, არა და არა!.. რითი დაიმსახურა პალმმა და ქუთაისის გმირებმა სახელი? უკულმართობით. რითი ჰსურს „კვალსაც“ სახელის დამსახურება? უკულმართობითა. ესენი თანამედროვე ჰ რატები არიან; ფახაფუხობენ, ქ აყენებენ, უსისიანებენ ხალხს ინტ ციას და ინტელიგენციას ხალხსა. რ ნიშნულება აქვს სახალხო თეატრს ხალხო სამკითხველოებსა—ეს ეხლა მაც კი იცის. ვინ უფრო უკედ წ სახალხო საქმეებსა? რასაკვირველია, ბული. განათლებული კაცი, ესე იგ ტელიგენტი. ვინ უფრო შეგნებით, კვევით გადასცემს კომედიისა, დრამ ნაარსს წარმოდგენის დროს—შეგნ განათლებული კაცი, თუ მუშა-ხალხ მელმაც ოდნავ იცის წერა-კითხვა? ა ნათლებულთა გუნდს აზრად აქვს ხ გონებითი გაწრთვნა, მისი ზნეობის გ ზება, მის სულის აღზრდა. ხალხი, ყოველთვის გაურკვეველს გზას ადგ გზის მაჩვენებელი სჭირია და ეს გზ ჩვენებელი არის ინტელიგენცია. ქვეყნებში ყოველივე სახალხო საქმ თავეში გაგებული კაცი უდგია, იგ ნებს გზას ხსნისას გაჭირვებიდან. მ „კვალს“ არა ჰგონია ასე, მ „კვალს“ არ მიაჩნია ჩვენი აწ დი ინტელიგენცია ინტელიგენციად, ლოდ თავისი თავი მიაჩნია მოს წარმეტყველად, მაგრამ ჩხავილ-კ მათგან ბევრი გვესმის, საქმე კი არ რატომ ქართულს საქმეებს არ უნდა მ

ოკაგამა. ზედა პალატამ უარ-ჰყო ...-ალრიცხვის ნაწილი. ორივე პალატამ ...ებით შესწყვიტეს სხდომები. კრიზისი ...ეაში დასრულდა. ერთს მოხელეს თავი ...ვეთეს.

...ეკინი. ელჩები განაგრძობენ თათბირს; ...შორის სრული თანხმობა არის, გარდა ... საგნისა, სახელდობრ: პეკინისა და ...ის შუა გზის დაცვისა და სიმაგრეების ...ვრეის შესახებ. რადგანაც ეს საგნები ...ედრო საკითხებია, ამიტომ მათ შესახებ ...ეწყვეტას გენერლები მოახდენენ და ...ეგს შეატყობინებენ ელჩებს.

...ონდონი. პარლამენტს წარედგინა დო...ენტები, რომლებიც ეხებიან ინგლისე... და ბურებ შორის ზავზე მოლაპარაკე... ...ამ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ პი...ები, რომლებიც წარედგინა ბურებს ...რომლებიც ბოტამ უარ-ჰყო, შემდეგია: ...ორც კი ყველა ბურები დაჰნებდებიან, ...ლისის მთავრობა აპატიებს ყველას ...ნსაალისა და ორანჟეს ახალშენებ... გარდა იმ ინგლისელებისა, რომლე... ...ნატალიდან და კაპიდან არიან. მათ ...ურობა მოეპყრობა თანახმად ომის დროს ...გენილი კანონებისა. ტყვე ბურები, ...ლებიც იმყოფებიან წმ. ელენეს და ცე...ონის კუნძულებზე დაბრუნებულ იქნე... ...ს სამშობლოში. ეხლანდელი სამხედრო ...ერიგის ნაცვლად დაწესებულ იქნება საა...შენო მმართვა-გამგეობა. ბურებს მიენი...ათ სრული თვით-მმართველობა, საეკკ...ია მამულები, სხვა და სხვა საზოგადო...ა ქონება და ობლების თანხები ხელ...ებლად დარჩებიან; ინგლისურს და ჰო...ლიურს თანასწორი უფლება ექნება; ...ლისის მთავრობა პასუხის მგებელი არ ...ა იყოს იმ ვალებისა, რომელიც აღებუ... ...აქვთ რესპუბლიკების მთავრობებს, მაგ... ...ინგლისი მზად არის მისცეს არა უმე...ს 1 მილიონი გირვ. სტერლ. იმ ზარა...ს დასაფასავად, რომლებსაც ბურები ...თხოვენ; ფერმერებს მიეცემათ სესხად, ...ორც შემწეობა, იმ ზარალის დასაფა...ად, რომელიც ომიანობის დროს მოუ...ათ; სამხედრო გაგასახადს ფერმრეები არ ...აიხდიან; ბურებს, რომლებისთვისაც სა...ო იქნება თოფ-იარაღი, მიეცემათ ნება ...ნიონ ეს იარაღი, თუ აიღებენ ნება...ეის მოწმობებს და ჩაეწერებიან შესაფერ ...ში. კაფრებს მიეცემათ ხმის მცირე უფ...ება, თუ რომ დაწესებულ იქნება წარმო...ენლობითი მთავრობა; შავ კანიან ...ხის მდგომარეობა გაწესრიგებულ იქნე...ბა იმავე კანონებით, რომლებიც არსებობენ კაპის ახალშენში.

პეკინი. დღეს, დილას, ტიანძინში წაიყვანეს ინგლისისა და რუსეთის ჯარები საცილობელ ადგილიდან.

ლონდონი. დღეს, დილით, წავიდნენ საგანგებო დესპანები, რომლებმაც გერმანიის, რუსეთის, დანიის და შვეიცის მთავრობათ უნდა შეატყობინონ ედუარდ VII ტახტზე ასვლის ამბავი.

კრემენჩუგი. მდ. დნეპრი გაიწმინდა ყინულისაგან და ნავოსნობა დაიწყო.

ლოდძი. დიდი თოვლი მოვიდა, მარხილებით დადიან.

ბროდნა. დიდი თოვლი მოვიდა; პეტერბურგ-ვარშავისა და სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზებზე მატარებლები იგვიანებენ. ქარ-ბუქი ისევ არის.

ვილნო. მოვიდა დიდი თოვლი, 3 გრადუსი ყინვაა.

ნიუ-იორკი. შეერთებულმა შტატებმა წინადადება მისცა სახელმწიფოებს, რომ ჩინეთმა გადაიხადოს ერთიანად 200 მილიონი, რომლიდანაც ყოველი სახელმწიფო მიიღებს მერვეულს, თუ სამს სახელმწიფოს, რომლებსაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ პეკინში, ნება **არა** აქვთ მიიღონ საზღაური.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ თუმცა დევეტი იძულებულ იყო კაბის ახალშეხიდან უკან დაბრუნებულიყო, მით მაინც სხვა ბურების რაზმებიც, რომლებიც ამ ახალშენში დარჩნენ, ძალიან მხნედ იბრძვიან; ისინი ნიადაგ თავს ესხმიან ინგლისელ მეცხოვნე რაზმებს და როცა კი მოახერხებენ, ნამდვილად საქმეს უჭირებენ ინგლისელ ჯარებს. ამ ბურებში უველაზე მეტად თავი იჩინა კრიტინგერმა. ინგლისელები «მშვენიერ გეგმებს» აწყობენ იმათ დასაჭერად, მაგრამ ამათაც ისე ვერ იჭერენ, როგორც დევეტი ვერ დაიჭირეს აქამდე. უველაფერში ეტყობა, რომ ბურებმა სავსებით შეიგნეს და შეითვისეს პარტიზანული ომის ხელოვნება. ინგლისელების აზრით, კრიტინგერი უსათუოდ ხელში უნდა ჩავარდნოდა ბოლოვნიკ დე-მლის, მაგრამ ის არხეინად წაუვიდა ხელიდან მდევრებს. აი რას იუწყება ამის შესახებ რეიტერის საგენტო კორესპონდენტი:

«ბოლოვნიკს დე-მლის ბოლოვნიკების კორინისა ჯ გერგბერტის დახმარებით უნდა მოეწყვიდა კრიტინგერი ორ წუალს შუა. ინგლისელებმა შეასრულეს კიდეც ეს თავიანთი განზრახვა, მაგრამ კრიტინგერი გაუსხლტათ ხელიდან: ის გავიდა დიუდრიფტის ხეობაში, სადაც მხოლოდ 50 ინგლისელი ჯარის-კაცი იდგა. ბურები ზრდილობიანად და პატივის-ცემით ექცევიან მცხოვრებლებს; როცა ცხენებსა და სურსათს ართმევენ, ისინი ფულს იხდიან და არაფერს ა[illegible] ...ხრებენ».

ამისთანავე ცნობას იუწყება რეიტერის საგენტო შიბნერის რაზმის შესახებაც, რომელიც გრაფ-რეინეტთან მოქმედობს. შიბნერიც მოუმწყვდევიათ ინგლისელებს, მაგრამ ის ისეთ გაუვალ ბილიკებზე ასულა, რომ ინგლისელები გაკვირვებულები დარჩენილან.

✿ ინგლისური გაზეთები მეტად ბევრსა სწერენ მანჯურიის შესახებ. ასე, გაზეთ «ტაიმს»-ის კორესპონდენტი შემდეგს იწერება შანჰაიდან:

«აქ დანიშნულია 15 მარტისათვის ჩინელების კრება. განზრახვა აქვთ დეპეშები მისწერონ მთელი ჩინეთის ვიცე კოროლებს და გუბერნატორებს და სთხოვონ მათ, რომ ეცადნენ და ჩაგონონ იმპერატორს, რათა ის არ დასთანხმდეს რუსეთის პირობებს მანჯურიის შესახებ. რაც უნდა უნაყოფოდ ჩაიარონ ამ კრებამ, მით მაინც ეს ცარიელი განზრახვაც კარგად გვიჩვენებს, თუ რანაირად უეურებენ ჩინელები რუსებს.»

✿ «ტაიმს»-ს სწერენ ვენიდან: «აქ ის აზრი ჭსუფევს, რომ რუსეთსა და ერთ სახელმწიფოს შუა (ინგლისი) მეტად ცუდი განწყობილებაა ამ ჟამადო, მაგრამ საქმე უსიამოვნობამდე კი არ მიიყვანო, რადგანაც რუსეთი ამ უთანხმოების გადასაწყვეტად მიჭმართავს გაკის საერთაშორისო სასამართლოსაო».

✿ ამას წინად სერბიის მეფე ალექსანდრემ ის აზრი გამოსთქვა, რომ სერბია უსათუოდ მეგობრულ განწყობილებაში უნდა იყოს ავსტრო-უნგრეთთან, მაგრამ ამასთანავე სერბიამ უნდა განამტკიცოს თავისი ძმური ურთიერთობა რუსეთთან, რადგანაც სერბიას არ შეუძლიან დაივიწყოს ის ტომობრივი და სარწმუნოებრივი კავშირი, რომელიც სერბიას რუსეთთან აერთებს. ამ სიტყვების გამო დიდი მითქმა-მოთქმა ასტუდა უნგრეთის გაზეთებში. ერთი გაზეთი გადაწყვეტით ამბობს, რომ «სერბიელები ტუალად გამოუდგებიან ორ კურდღელსაო... რაწამს რუსეთს დაუახლოვდება, სერბია მაშინვე დაჭკარავს თავის დამოუკიდებლობას და ეროვნულ ბოლიტიკას; ხოლო რუსეთის ბოლიტიკა სერბიას ხელს არ მისცემს. თუ სერბიას მაინც და მაინც ძლიერი სურვილი აქვს თავის თავი რუსეთს შესწიროს, მაშინ ვაი იმას... რუსეთი შორსაა, ხოლო ავსტრო-უნგრეთი ახლო. სერბიელებს ნუ ავიწყდებათ, რომ ავსტრო-უნგრეთი ძალითაც მოახერხებს და ჩაგონებს იმათ, თუ რა ინტერესები აქვს ავსტრიას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე».

სერბიის გაზეთები დიმილით უყურებენ ამ გაზეთის მუქარას და მის [illegible] ...ებენ შეშლილს ადარებენ. «თუ ავსტრო-უნგრეთს, — ამბობს ერთი სერბიელი გაზეთი, — ამისთანა მუქარით ჭსურს თავისი მდგომარეობა განამტკიცოს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, — ის ძლიერა სცდებაო».

✿ გერმანიის გაზეთები ეხლა ხშირად სწერენ წინააღმდეგ ჩინეთის ომისა. ზოგიერთი გაზეთი ამბობს, რომ «ჩინეთის უწესოებას, როგორც ეტყობა, ბოლო ადარ ექნებაო». ერთ გაზეთში, სხვათა შორის, შემდეგი აზრია გამოთქმული: «ურჩევთ ჩვენ საიმპერიო მთავრობას, ეცადოს, რაც კი შეიძლება, მალე თავი დაადწიოს ამ აწყწილ-დაწყწილ საქმეებს და, რაც შეიძლება, მალე ჯარები უკან დაბრუნოს. ჩვენ პირველიდანვე იმ აზრისა ვიუავით, რომ სხვა სახელმწიფოებთან ერთად ჩვემოქმედნა, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდით, რომ ჩვენი მთავრობა იქ იმდენ ჯარებს გაჭგზავნიდა. რომ ჩვენ ჩინეთში არაფერი საქმე არა გვაქვს, ეს ჩვენთვის ცხადი და უცილობელია იმ რამდენიმე ას მილიონს, რომელიც ჩინეთის ომზე დავხარჯეთ, ჩვენ, რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ დავიბრუნებთ; ამიტომ ჩვენ კიდევ ერთხელ ურჩევთ მთავრობას, რომ რაც შეიძლება მალე გაანებოს თავი ჩინეთს და ჯარები შინ დაბრუნოს».

✿ კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის მთავრობას 19 ბოლგარელი განსაკუთრებულს სასამართლოში მიუცია. დამნაშავეებს ჩაბარეს საბრალმდებლო ოქმი. ამ ბოლგარელებს ის ბრალი ედებათ, რომ ცდილობდნენ აეჯანყებინათ ბოლგარელები სალონიკოში, კოსოვოში და მონასტერში ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ, რათა მაკედონიისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. ოსმალეთის კანონების ძალით, ბრალმდებელი თხოულობს, რომ დოქტორი ტიტარჩევი, მდგელი სტამატოვი, პროფესორები მიტოვი და პალატოვი, დირექტორი ტოჩევი და გიმნაზიელი რიზოვი სიკვდილით დაისაჯნენო, ხოლო დანარჩენი დამნაშავეები უნდა დაიკარგნენ შორეულს ადგილებშიო.

ახალი ამბავი

✦ გავახსენებთ ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს ქართულ თეატრში დანიშნულია განსვენებულის მგოსნის რ. ერისთავის საბსოვრად სალიტერატურო საღამო, რომლის შემოსავალი გადადებულია განსვენებულ...

...ინტელიგენცია!? თუ კი რუსულს და ...ბურს სახალხო თეატრს მართავს მათ... ...ი ინტელიგენცია, ქართულმა რაღა და...ა!.. არა, მაგ მაიმუნურ მალაყებით ...ხს ვერ შეაცვლევინებთ ქართველს მო...ეებზე გულსა; ხალხს თუმცა „ინტელი...ტი ცხვირი“ ევდოშვილისა არ აბია, ...რამ მან დიდი გარჩევა იცის კარგისა და ...ა, ის კარგად სცნობს თვისს მოკეთეებს; ...ლა შეგნებული მუშა ლამაზად გაიგებს, ...რა უკეთესმართს ქადაგებას შესდგომია ...ელი“, რომელსაც მოსწონს ის, რაც ...ეწონი არ არის, გუნდრუკს უკმევს მას, ...ზიზღის ღირსია, იგი მათაყვანებელი ...და არის „ლოლუიზმ-კალისტრატიზმ-...ველიზმისა“; იგი მტერია ნამდვილ ...ელიგენტისა.

...ითი განირჩევიან „ვეჩერინკის“ გამმარ...ნი მანდილოსანნი „კვალის“ პუბლიცის...ისაგან? ანუ ვის მეტი სიკეთეე მიუძ...ს წინაშე თვისის სინიდისისა კერძოდ და ...ხისა საზოგადოდ? მათში დიდი გარჩევა ...არს, ორნივე ჩვენის საზოგადოების მუ...ნი, ხორცმეტნი არიან, ორივე დიდი ...როტებაა, მაგრამ პირველნი მხოლოდ ...ეუარობის გზას დასდგომიან, ჯიბეებს ...ბლებენ გულწრფელებსა; ბევრს თვით ...ოვებენ და ნამცეცებს აწვდიან იმას, ვი...ს „ვეჩერინკა“ გაუმართეს; ესენი ცოტა ...ა სიკეთეს მაინც შვრებიან. მაგრამ „კვა...ის“ მწერალნი? ვფიცავ—და ეს უტყუარი ფიცია,—ვფიცავ “ინტელიგენტ ცხვირს“ ბ. ევდოშვილისას, რომ იგინი ამ „ცხვირს“ იქით ვერას ჰხედავენ, დასდგომიან ხალხის გადაბირების გზასა, აქეზებენ თვის მშობლებზე, ძმებზე, ძმას ძმის ძვალი უნდა ატეხინონ, მამასა შვილისა. ნაცვლად იმ ჭადაგებისა, რომ ყველა დაადგეს წარმატების გზასა, ხელჩართულად, შეერთებით მისდიონ ამ გზასა, აუხსნან, რომ მხოლოდ ამ შეერთებულს ცხოვრებაშია დღეს ჩვენი ხსნა, ჩვენი ძალა, იგინი ხმა-მაღლა ღალადებენ დანცალკევებას, დაკერძოვებასა. აი აქ მარხია ძაღლის თავიო, რომ იტყვიან, სწორედ ესეა საქმე! ეს ძაღლისთავი, თუმცა ხმელი და ერთობა გამოცარიელებულია, მაინც არ მოშლის ღრენასა; უეჭველია, ბევრი აჰყვება ამათ ფეხის ხმასა, მაგ-ამ დღე დიდი არა აქვს ისე, როგორც ზოგიერთთა მანდილოსანთა ვიოლომ და ქველმოქმედებასა.

გამოცანის ახსნა.

ამსებით აივსო ჩემი მაგიდა წერილებითა, ეტყობა ძრიელ უნდათ „ერთი გუდა ხიზილალის“ მიღება. რა ხუმრობაა! ძველ დროში ერთი გუდა ხიზილალა ერთ მანყულადაც არა ღირდა, ეხლა კი თუმნები ღირს; მეორეც ისა, ხიზილალა ერთი საუკეთესო სასაუზმევო სამკაულია სუფრისა. ზოგმა მომწერა, განსაკუთრებით იმერეთიდან, რომ ეგ შენი გამოცანა დაბეჭდილი „ისრის № 6-შიო, ნიშნავს ფუყე კაცსა, მეორემ—უვარგისს, მაგრამ ყოყლოჩინასაო; მესამემ—ქუთაისის „ახალი გმირი“ დაასახელა. უფრო მახვილი ახსნა გამოდგა ტფილისის თავადაზნაურთა სკოლის მოწაფეებისა... ესენი ხომ ერთობ კუდიანები არიან: არც ერთ რებუსს, არც ერთ შარადას, არც ერთს გამოცანას საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისას“ აუხსნელს არ გაუშვებენ ხოლმე. ერთმა მომწერა, რომ „ინტელიგენტი ცხვირია“ ბ. ევდოშვილისაო... ჰაი და, და! ძალიან დაახლოვებულად აუხსნია... მეორემ: ლოკოკინაა, მაგალითად, რკინის თავი ლოკოკინის ხეჭუჭია, რომელშიაც განისვენებსო, შიგ ამ ხეჭუჭში, ანუ ნაჭუჭში, ზის ლოფ-ლოფი ლოკოკინა—ეს არის ტვინი დომხლისაო, ერთის სიტყვით მიაგნეს. მაგრამ, რასაკვირველია, იმის თქმა მათგან კი ძნელია, თუ თვით ეს ლოკოკინა ვის წარმოადგენს... ეს ლოკოკინა გახლავთ იგივე რიგოლეტო, „კვალის“ მასხარა, ლოფ-ლოფი მწერალი, რომელიც მხოლოდ ეხლა იძახის ადუს და მისი მწერლობა «ადუდ» დარჩება და ისე ჩავა საფლავად, რომ ადუაობას ვერ გასცდეს... მაინც „ერთი გუდა ხიზილალა“ მიჩუქებია გამოცანის ამხსნელებისათვის და ორი გუდაც ზედ მადლობა ასეთის მშვენიერის დახასიათებისათვის.

განცხადება.

გამოვიდა და ისყიდება მეორე გამოცემად ამ წელში დასტამბული „კვალში“ „ინტელიგენტი ცხვირი“ ბ. ევდოშვილისა, ავტორის სურათითა, იქვეა დახატული „ინტელიგენტი ცხვირიც“, რომელსაც ისე გაუღრენია ნესტოები, თითქოს ჰლამობს ავტორის გადაყლაპვასაო. მზადდება დასაბეჭდათ იმავე ავტორის ნაწერები: „ინტელიგენტი თვალი“, „ინტელიგენტი ყური“ და „ინტელიგენტი... მხოლოდ მარტოდ-მარტო ერთი ინტელიგენტი ქვეყანაზე გაზეთი „კვალი“. (100—2—98)

შენიშვნა რედაქციისა. ოჰ, ნეტავი, თქვენი სიცოცხლითა, ეს უკანასკნელი თხზულება გვენახა ჯერეთა. *)

თლაფსუ კვირაია

*) თქვე დალოცვილო, ეგ თხზულება ხომ ყოველ კვირა გამოდის, სამი შაური და მისი ჯანი! იყიდეთ და ყოველ კვირა დღეს დასტაბით „ინტელიგენტი კვალის“ კითხვითა.

ასოთ ამწყობის შენიშვნა.

ლის სახელობაზე არსებულ ფონდის გასაძლიერებლად.

✦ ბ. გეევსკიმ, რომელიც ეხლა მიწად-მოქმედების რწმუნებულის თანამდებობას ასრულებს, დეპეშით სთხოვა პეტერბურგში მყოფ მედვედიევს, რათა დააჩქარებინოს მომავალ საიუბილეო გამოფენის პროგრამის დამტკიცება მიწად-მოქმედების სამინისტროს.

✦ ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს შეატყობინა ქუთაისის გუბერნატორმა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ სცნო შესაძლებლად წარედგინა მის უდიდებულესობისათვის ქუთაისის თავად-აზნაურობის წარსულ არა ჩვეულებრივ კრებაზე მომხდარი არჩევანი, რადგანაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლის თანამდებობაზე არჩეულ კანდიდატები თავ. ს. გ. წერეთელი და თ. ნ. ყ. თავდგირიძე აირჩიეს არა ერთმა და იმავე რიცხმა ამომრჩevლებისამ, როგორც ამას თხოულობს მე-IX ტომის მე-259 მუხლი კანონთა კრებულისა (გამოცემა 1889 წ.). ახალი არჩევნები მოხდება 24 აპრილს („ნოვ. ობზ.“).

✦ ტფილისის საურთიერთო კრედიტის ბანკის ანგარიშიდან სჩანს, რომ 1900 წლის განმავლობაში ხსენებულ ბანკის ოპერაციები შესამჩნევად შემცირებულან, რა გარემოებასაც ბანკის გამგენი ფულის ბაზრის კრიზისით ხსნიან. საანგარიშო (1900) წლის განმავლობაში გაუციათ 1.881,300 მან სესხი. სულ მამულები გიროათ გაცემული ყოფილა 1901 წლის იანვრისათვის 17.722,179 მან. და 58½ კ. 1900 წლის განმავლობაში ვადაზედ ფულის შემოუტანლობის გამო დანიშნული იყო გასაყიდად 936 მამული, მაგრამ ვაჭრობის დღეს ფული წარმოადგინა 890 მეპატრონემ, ასე გასაყიდად დარჩა 45 მამული. აქედან გაიყიდა 44, რომლებზედაც იყო ვალი 221,707 მან. და 9 კ.; ბანკის სათადარიგო თანხა უდრის ეხლა—420,973 მ. 28¾ კ. საანგარიშო წელს წმინდა შემოსავალი ყოფილა—89,939 მან. 74 კ., 11,906 მანეთით და 72 კაპეიკით ნაკლები 1899 წლის შემოსავალზედ.

✦ პარასკევს, 9 მარტს, შესდგა კრება კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისის ქუჩების ბოკირწყვლისათვის საჭირო საშრალებათა გამოძებნა. ამ საქმის განხილვამდე კრებამ საჭიროდ იცნო შეკრება ცნობებისა შესახებ ქალაქის დავალიანებისა და გაგება იმისი, თუ ქალაქს რამდენის გადადება შეუძლია ამ საქმისათვის წლიურად. სხვათა შორის, გამგეობის წევრმა თ. ჩერქეზიშვილმა შეატყობინა კომისიას, რომ „კუტოს“ ფირმა მზათ არის ეხლავე მოკირწყლოს ქალაქის ყველა ქუჩები და მეიდნები იმ პირობით, რომ ქალაქმა თანდათან გადაუხადოს მას დანახარჯი ფულები, რასაკვირველია, სარგებლით. ამ წინადადების დაწვრილებით პირობებს თ. ჩერქეზიშვილი წარუდგენს კომისიას მომავალ სხდომაზე, რომელიც დანიშნულია 12 მარტისათვის.

✦ ამ დღეებში ა. კ. სტირომ სთხოვა ქალაქის გამგეობას, რათა მას ნება დაერთოს საცდელად გამართოს ერევნის მოედანზე ეგრედ წოდებული „ვაშინგტონის“ ლამპა მოედნის გასანათებლად; გამგეობამ ნება დართო და გუშინ ბ. სტირო კიდეც შეუდგა ასეთი ლამპის გამართვას.

✦ ალაზნის ნაპირები ცნობილია, როგორც მეტად ციებ-ცხელებიანი ადგილი. ამიტომ განზრახვა აქვთ ხსენებულ ადგილის გასაშრობად არხები გაიყვანონ. იმუშავებენ სს. საქობის, ანაგის და ვაქირის მკვიდრენი. ჯერ მუშაობას ვერ შესდგომიან, რადგან ინჟენერი ჯერ მოსულა და ადგილის გეგმა არ არის აღებული.

✦ მოსკოვში გამოსულა ალ. ხახანაშვილის „ქართულ ლიტერატურის ისტორიის“ მესამე ტომი, რომელშიაც განხილულია ჩვენი მწერლობა მე-XIII-ე საუკუნიდან მე-XVIII-ე. წიგნი შეიცავს 432 გვერდს და ღირს 3 მანეთი. მეოთხე და უკანასკნელი ნაწილი ბ. ხახანაშვილის შრომისა შეეხება ქართულ ლიტერატურას მე-XIX-ე საუკუნეში.

✦ ხუთშაბათს, 8 მარტს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ განიხილა საქმე ი. მამინაიშვილისა და ივ. ქაჯაიასი, რომელიც მამინაიშვილს 16,000 მანეთს ედავებოდა. ქაჯაიას ვექილი იყო ბ. ოპოჩინი. საქმის გარჩევა გადაიდო სხვა დროისათვის თანახმად მომჩივანის ვექილის შუამდგომლობისა. ამასთანავე ოლქის სასამართლომ ნება დართო მომჩივანს დაენიშნა მოწმეები საქმის გარემოების გამოსარკვევად.

✦ 1898-ში დარსებული იყო განსაკუთრებული კომისია, რომელიც შესდგებოდა წყლების ინსპექტორისა, ინჟენერ-გიდრავლიკისა, ქალაქის ტეხნიკოსისა და გუბერნიის ინჟენერისაგან.

ამ კომისიის დანიშნულება იყო—შეემუშავებინა ზომები წყალდიდობის წინააღმდეგ ტფილისში. სხვა და სხვა მიზეზების გამო ამ კომისიამ ვერ შეასრულა მინდობილი საქმე და 1899 წლიდან იგი სრულადაც აღარ არსებობდა. ეხლა წყლების ინსპექტორს ბ. პეტროვს განუზრახავს საქმის განახლება და მიუწვევია კომისიის წევრები პირველად იმის გამოსარკვევლად, თუ მტკვრიდან რამდენ მანძილზედ შეიძლება შენობის აგება. ქალაქის მხრივ ამ კომისიაში დანიშნულია ინჟენ. ენფიანჯიანცი.

✦ მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუდვია 14,800 მ. ოზურგეთის თამბაქოს პლანტაციაზედ სადგომ შენობების ასაგებად (ნოვ. ობზ.).

✦ ტფილისის საგუბერნიო სამმართველოში პირველი მორიგი კითხვა აგანია ტფილისის სახელოსნო გამგეობის გაუქმება, თანახმად უმართებელესის სენატის აღსნისა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულებით, გაეგზავნათ ყველა სახლის პატრონებს განცხადება, რომლითაც მათ იწვევენ, რომ 10 დღის განმავლობაში წარმოადგინონ ცნობები ყველა იმ ძაღლების შესახებ, რომელნიც მათ ან მათ მდგმურებს ჰყავთ. იმ ძაღლებს, რომელნიც სიაში არ იქნებიან შეტანილი, დახოცვენ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობაში აღძრულია კითხვა საყასბოს მუშების კვირა დღეებით დასვენების შესახებ.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია საქალაქო სკოლების კომისიის სახელმძღვანელოდ ბ. ტფილისის გუბერნატორს წარუდგენია კავკასიის ოლქის მზრუნველისათვის.

✦ აფთექის პატრონმა ვ. ლ. ვილარეტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რათა ნება დაერთოს მას ლორის-მელიქოვის ქუჩაზე თავ. მუხრანსკის ახალს სახლებში, რომელიც მან დაიქირავა აფთექის მოსათავსებლად, გამოიყვანოს მირიმანოვის სახლებიდან საელექტრონო მავთულები აფთექის ელექტრონით გასანათებლად დროებით, ვიდრე ქალაქი თვით გააკეთებდეს საკუთარ საელექტრონო სადგურს.

საღამოს დეპეშები

10 მარტი.

პეტერბურგი. 9 მარტს, ღამით, სამარიდან მოსული ტიტულ. სოვეტნ. შვილი ნიკოლოზ კონსტანტინესძე ლაგოვსკი, რომელიც სარატოვის საგუბერნიო საერობო მმართველობაში ემსახურება სტატისტიკად მიუახლოვდა უწმინდესის სინოდის ობერ-ფროკურორის სახლს ლიტეინის პროსპექტზე ძირის სართულში მოთავსებულ კაბინეტის ფანჯარას, რომელთანაც ამ დროს მუშაობდა დეისტ. ტაინი სოვეტ. პობედონოსცევი და საწერი სტოლისაკენ გაისროლა რევოლვერი ორჯელ, შემდეგ კიდევ ერთი ტყვია დარაჯის ფანჯარისაკენ და მეოთხე სროლაზედ კი რევოლვერმა ფალია აიწვა. საბედნიეროდ, ბოროტ-განმზრახველისაგან გასროლილი ტყვია ჭერს მოხვდა. გამოძიებას აწარმოვებს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორის მაქსიმოვიჩის ზედამხედველობით.

ბერლინი. გაზეთების სიტყვით, იმპერატორმა დეპუტატთა პალატის პრეზიდენტის საპასუხო სიტყვაში გამოსთქვა, თუ რიმდენადა სწუხს იმაზე, რაც მას შეემთხვა. აღელვებულმა იმპერატორმა სთქვა: „ახალგაზდობა ზნეობით დაცემულია. ყველა პირობები გამოუკლებლად ხელს უწყობენ ახლანდელ საქმეთა მდგომარეობას. მთავრობის მოქმედების შესახებ მეტად სასტიკად მსჯელობენ. ვილგელმ I-ის სიკვიდილის შემდეგ სამეფო გვირგვინის ავტორიტეტი მეტად გათახსირდა“.

სოფია. როგორც ხმა არის, კარაველოვის საბიუჯეტო რეფორმები შეეხება შინაურ ადმინისტრატიულ რამდენიმე თანამდებობის მოსპობას, გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ბეჭდვითი სიტვის ბიუროს დაარსებას, ათინაში და ცეტინიეში დიპლომატიურ წარმომადგენლობის საკითხს, შეიძლება პარიზშიც, მაგრამ ჯარს კი არაფრით არ შეეხება. დასასრულ იგი წინადადებას აძლევს ახალი 25 მილიონ სესხის აღების შესახებ, როგორც ჰფიქრობენ, ფრარგ ბანკირებისაგან.

პეკინი. 9 მარტს, დილით, ტიანძინში საცილობელ ადგილიდან გაიყვანეს ჯარები ორთავე მაცილობელმა მხარემ.

პეკინი. უთანხმოება, რომელიც გამოიწვია ტიანძინში საცილობელმა ადგილმა, მოისპო პეკინში რუსეთის გენერლის და ინგლისის ჯარების შტაბის უფროსის პირის პირ მოლაპარაკების საშუალებით. როცა ინგლისელებმა შეიტყეს, რომ მათგან დაჭერილი ადგილი რუსეთის ჯარის მფარველობას ქვეშ იმყოფება, დიდ ბრიტანიის სამხედრო მთავრობამ აღიარა, რომ რუსებისაგან სამზღვარზე ჩასხმული ბოძებიდან სამი ამოიღეს შეუტყობინებლად და რა წამს გაიგეს რაშიც იყო საქმე, მაშინვე მოსპეს მუშაობა და უკანვე გაიწვიეს თავიანთი დარაჯები, რის გამო მოაცილეს ამ ადგილს რუსების დარაჯებიც. საცილო ადგილების შესახებ მოხდება მშვიდობიანი თათბირი საქმის იურიდიულის მხრივ გასარჩევად.

გელსინგფორსი. 13 მარტს რატბაუზის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია გელსინგფორსში 5 თებერვალს მომხდარი მანიფესტაციების საქმე სასამართლოში მიცემულნი არიან ვაჭარი შებლომი, ლიტერატორი ვერნერ ლენბეკი, ინჟენერი ასპი, არქეტექტორი სონკ ანდერსინი, კაპიტანი ბიოდე და ფილოსოფიის მაგისტრი მალსტრემი. გამოწვეულია თორმეტი მოწამე.

რომი. პალატამ ხმის უმეტესობით უარჰყო ბერტეზის წინადადება ხორბალზე და ფქვილზე ბაჟის შემოღების შესახებ. წინადადების წინააღმდეგ ფინანსთა მინისტრმაც ილაპარაკა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. უილამ რედმონდი ჰკითხულობს: ფიქრადა აქვს თუ არა მთავრობას, ინგლის-გერმანიის ხელშეკრულობის საყურადღებოდ, რომელსაც საგნადა აქვს ჩინეთის იმპერიის ხელშეუხებლივ დატოვება, შეეკითხოს გერმანიის მთავრობას—განზრახულია თუ არა რაიმე მოქმედება რუსეთის მანჯურიაში მოქმედებათა საწინააღმდეგოდ. კრანბორნი უპასუხებს: „რუსეთის მთავრობამ მრავალ ჯერ განაცხადა, რომ მომხრეა ჩინეთის ხელშეუხებლობისა, და ინგლისის მთავრობამ არა იცის-რა, თუ რუსეთმა დაარღვია ეს თავისი ნათქვამი“. შემდეგ რედმონდი ჰკითხულობს: შეატყობინეს თუ არა ბურების მეთაურებმა ინგლისს, თუ რა პირობებ[illegible] შესწყვეტავდენ ომს? ჩემბერლენი უპასუ[illegible] არაო, თუ არ [illegible] ნერის მოლაპარაკებისა[illegible] ტრანსვალი[illegible] თხულობს, რომელმა ხელმწიფ[illegible] ინგლ[illegible] წარდგენილ პირობებისამ აიძულა ბურები[illegible] რი განეცხადებინათ წარდგენილ პირობებ[illegible] ჩემბერლენი უპასუხებს, რომ მთავრ[illegible] არაფერი იცის გარეშე იმ ცნობებისა, [illegible] მელიც მოთავსებულია დღეს პალატაში [illegible] გებულ მიწერ-მოწერებშიო. კემბელ ბან[illegible] მანს შეაქვს წინადადება, გადაიდოს მ[illegible] გი საქმეები და განხილულ იქმნას [illegible] ლიტიკის საყურადღებო საქმეები, სახ[illegible] დობრ, განხილულ იქმნას მთავრობის [illegible] დევარი მოქმედება, რომელიც გამო[illegible] იმაში, რომ მთავრობამ დროზედ არ [illegible] ატყობინა პალატას საქმეთა კრიტიკულ[illegible] მდგომარეობა, რომელიც უკვე ამან ამ[illegible] ლორდთა პალატას. „ტიანძინში საქმ[illegible] მდგომარეობამო, ამბობს იგი შემდ[illegible] გამოიწვია მთელს ქვეყანაში დიდი აღ[illegible] ბა და ხალხის წარმომადგენლებმა არაფ[illegible] უნდა იცოდნენ ამის შესახებო“. ბალფ[illegible] უპასუხებს, რომ ჯერ მაგალითი არაყო[illegible] ლა მორიგი საქმეების გადადება ეთხოვ[illegible] ასეთი ფუქსავატ საკითხის ადრე გასარჩევ[illegible] თუმდაც რომ კემბელ ბანერმანმა [illegible] მოსთქვას სურვილი ამ კითხვის წამოყენ[illegible] საო, ამბობს იგი, პალატას მაშინაც ვერ [illegible] ატყობინებენ ვერაფერს იმაზე მეტს, რაც [illegible] მოცხადებულ იქმნა ზემო პალატაში“. [illegible] რე კამათის შემდეგ ბანერმანის წინადად[illegible] უარ-ყოფილ იქმნა.

რედაქტორი ალ. ჭეოანია. გამომცემელ[illegible] ალ. ჯაბადა[illegible]

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 9 მარტს.

ფასქაღალდების კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში			93,6[illegible]
ბერლინზე 100 მარკაში			45,8[illegible]
პარიზზე 100 ფრანკში			37,3[illegible]
ლონდონზე ჩეკები			94,6[illegible]
ბერლინზე „			46,3[illegible]
პარიზზე „			37,5[illegible]
ბირჟის დისკონტი			5¾,—7[illegible]
	მყიდვ.	გამყ.	
	მ ა ნ ა თ		
4% სახელმწიფო რენტა	96	—	[illegible]
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	—	10[illegible]
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	96	[illegible]
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	—	—	34[illegible]
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	—	—	28[illegible]
5% ვირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	—	—	2[illegible]
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	89	—	[illegible]
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	93½	[illegible]
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	87¼	—	[illegible]
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	—	[illegible]
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	93	—	[illegible]
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	95½	9[illegible]
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	—	[illegible]

განცხადებანი

თხუზლება

თ. რ. ერისთავისა

I ტომი

ფასი სამი აბაზი.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთ[illegible] ეკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинск[illegible] Издательское Товарищество.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Марта 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, ვახქის დიდი ქუჩ. № 27.